



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №12/30

2017 წლის 27 აპრილი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერების შესაბამისად დანართი №1-ში მითითებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი №1-ში მითითებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2017 წლის 14 მარტის №13/09/518, 27 მარტის №13/12/671 და 11 აპრილის №13/12/806 წერილებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი №1-ში

მითითებული 04.02.07.471, 04.02.07.475, 04.02.10.514, 04.02.08.560, 04.01.07.497, 04.01.10.530, 04.02.08.559, 04.02.15.056 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართ №1-ში მითითებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, 3 წლის ვადით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართ №1-ში მითითებული 9 (ცხრა) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თვითმმართველი ქალაქის-ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობის (იჯარა-აღნაგობა) უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის №9/55 განკარგულება.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 27 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია

დანართი №1

| № | მისამართი | მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი |
|---|--|--|
| 1 | ქალაქი ფოთი, ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისი | 04.02.07.471 |
| 2 | ქალაქი ფოთი, მშვიდობის ქუჩის დასაწყისში | 04.02.07.475 |
| 3 | ქალაქი ფოთი, კოსტავას ქუჩა სამეგრელოს მოედანთან | 04.02.10.514 |
| 4 | ქალაქი ფოთი, ჭანტურიას ქუჩა ცოტნე დადიანის ძეგლთან | 04.02.08.560 |
| 5 | ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (სატვირთო რკინიგზის შენობის მიმდებარედ) | 04.01.07.497 |
| 6 | ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა 9 აპრილის გადაკვეთასთან | 04.01.10.530 |
| 7 | ქალაქი ფოთი, ჭანტურიასა და ლოლუას ქუჩების გადაკვეთასთან | 04.02.08.559 |
| 8 | ქალაქი ფოთი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №1-ის მიმდებარედ | 04.02.15.056 |
| 9 | ქალაქი ფოთი, რეკვავას ქუჩა (პურკომბინატის მიმდებარედ) | 04.01.04.567 |

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია